საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/2 „ 9 „ იანვარი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 8 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 9 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 7 საშტატო ერთეული;

დ) ბოლნისის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ე) ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დმანისის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მარნეულის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ზ) სიღნაღის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

თ) სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2020 წლის 10 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი